ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №45

ქ. თბილისი **2 მაისი, 2017 წელი**

ერთი მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ქონების მართვის სააგენტო" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, გიორგი ფიფიას სახით და მეორე მხრივ, სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო" (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი სერვისის დირექტორის, ალექსანდრე ხვედელიძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია, სააგენტოს საკუთარი შემოსავლებით, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის #26 დადგენილების საფუძველზე ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების შესყიდვა (CPV 50100000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია, ავტომანქანის სახ. №GGJ-276 ძრავის ზეთის, ზეთის ფილტრის, ჰაერის ფილტრისა და კონდიციონერის შეძენა/შეცვლა, დანართის შესაბამისად. ხელშეკრულების დანართი არის მიმწოდებლის 2017 წლის 1 მაისის №05 ინვოისი და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 242,5 (ორას ორმოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2017 წლის 8 მაისამდე.

4.2 მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება ქ. თბილისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ქონების მართვის სააგენტო"-ს მთავარი სპეციალისტი მერაბ როგავა.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი.

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6.4 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებლების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ჯამური ღირებულების 20%-ს მაშინ შემსყიდველს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს მიმწოდებელ ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სხვა სახის არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება 10% -ს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და მოსთხოვს მიმწოდებელს გასვლის მომენტისათვის არსებული გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.4 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.5 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 20%-ის ოდენობით.

8.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 15 ივნისამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. ინტერესთა კონფლიქტი

წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, შესყიდვის განმახორციელებელი ფიზიკური პირის მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით მიმწოდებელთან არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ ქონების მართვის სააგენტო
მის: შარტავას №7
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ა/ა 741977499
ს/კოდი: 205296375

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

გიორგი ფიფია

მიმწოდებელი:
სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“
სს “თიბისი ბანკი”
ა/ა № GE15TB1100000110467697
ბანკის კოდი: TBCBGE22
ს/კოდი: 204478948

სერვისის დირექტორი

ალექსანდრე ხვედელიძე

გამყიდველი:ს.ს."ჰიუნდაი ავტო საქართველო"

ს/კოდი: 204478948
მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ

ბანკი: "TBCBGE22

ა/ ა: № GE15TB11 0000 0 110 467 6 97 (ლარი)

ინვოისი

№ 05

01 05 2017

ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო

მისამართი: თბილისი,

რიგითი ნ	გარბენი	დასახელება	ზომის ერთეული	რ-ბა	თანხა ლარი	მომსახურებ
		HYUNDAI I-20 GGJ 276				
1		ძრავის ზეთი	ლტ	3.5	*87.50*	*15.00*
2		ზეთის ფილტრი	ც	1	*20.00*	
3		ჰაერის ფილტრი	ც	1	*40.00*	*00.00*
4		კონდეციონერის ფილტრი	ც	1	*70.00*	*10.00*
					217.50	*25.00*
		თანხა:			242.50	

ბუღალტერი

/ ნანი ჩაჩხიანი /

JSC "HYUNDAI AVTO GEORGIA" 204478948

დამკვეთი